# გარემარბების ორი გოლი

ხარკოვი (ტელეფონით).

ხარკოვის "ავანგარდთან" მატჩზე თბილისელები თავისი საბრძოლო შემადგენლობით გამოვიდნენ: კოტრიკაძე, სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი ზეინკლიშვილი, იამანიძე, მეტრეველი, მელაშვილი, ბარქაია, დათუნაშვილი, მესხი. პირველ ტაიმში ორივე გუნდის ფეხბურთელთა მეცადინეობა, გაეხსნათ ანგარიში, ამაო გამოდგა. ეს ძირითადში უნდა მიეწეროს იმას, რომ მეტოქეთა დაცვის მოთამაშეები შეუცდომლად მოქმედებდნენ მოედანზე, ხოლო თავდამსხმელთა მიერ კარში დარტყმული ბურთები მიზანს ვერ აღწევდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში მსაჯმა მოედანი დაატოვებინა ბარქაიას. თბილისელები ათნი დარჩნენ მოედანზე, მაგრამ ფარ-ხმალი და დაუყრიათ.

უკვე მეექვსე წუთზე მესხმა ლამაზი დარტყმით აიღო ავანგარდელთა კარი. თბილისელთა უპირატესობა ამის შემდეგ კიდევ უფრო გამოიკვეთა. ხარკოველთა ცდას გაექვითათ ანგარიში, შედეგი არ მოჰყოლია. პირიქით, ზუსტად 10 წუთის შემდეგ, ამჯერად სტუმართა უკვე მარჯვენა გარემარბმა - მეტრეველმა გაზარდა ანგარიში 2:0-მდე. გავიდა ორი წუთი და ხარკოველებმა მოახერხეს ერთი საპასუხო გოლის გატანა. ეს იყო და ეს. დარჩენილ დროში მასპინძლები ბევრს ეცადნენ შეეცვალათ მდგომარეობა, მაგრამ ამას ვერ მიაღწიეს. აღსანიშნავია ის, რომ თბილისელთა დაცვამ "აუღებელი კედელი" აღმართა ხარკოველების წინაშე და მათ სხვა არა დარჩათ რა იმის მეტი, რომ დამარცხებას შერიგებოდნენ. საბოლოოდ მატჩი დამთავრდა ანგარიშით 2:1 თბილისელთა სასარგებლოდ. სტუმრებმა ჩემპიონატის ფინიშზე საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლაში მეტად საჭირო ორი ქულა მოიპოვეს.

გ. პოპიტკო.

"ლელო", 24 ოქტომბერი, 1962 წ.